ხელშეკრულება № 150
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გურჯაანი

2018 წლის 04 სექტემბერი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი მერის არჩილ ხანდამაშვილი სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ ი/მ „რამაზი ბერიძიშვილი" (ს/კ 13001055206) სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების" მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან 5 (ხუთი) ინდივიდი მგლის და 10 (ათი) ინდივიდი ტურის ამოღების მომსახურეობის უზრუნველყოფა. CPV კოდი: 77600000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **450** (ოთხას ორმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3 ხელშეკრულებაში ფიქსირებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და შესაბამისად ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციოს, შემსყიდველი ვალდებული არ არის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოახდინოს საორიენტაციო ღირებულების შესაბამისად განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების სრულად ათვისება.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურეობის გაწევის ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მიაწოდოს მომსახურეობა დათქმულ ვადებში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. მიმწოებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურეობის აქტის საფუძველზე, დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი გივი ამისულაშვილი.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურეობის შესახებ აქტს.

8. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;

8.2. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 დეკემბრამდე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყი-დველისთვის, გარდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევე-ბისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტ ოდენობით;

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 04 სექტემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 თებერვლამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი; ქ.გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. N13; ს/კ 227765022; ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESG22; ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:

ი/მ „რამაზი ბერიძიშვილი"; ს/კ 13001055206; ქ. გურჯაანი, 9 აპრილის ქ. №35; სს „ლიბერთი ბანკი"; ბ/კ: LBRTGE22; ანგარიშის №GE83LB0112114774284000

შემსყიდველი:
გურჯაანის მუნიციპალიტეტის
მერი

არჩილ ხანდამაშვილი

მიმწოდებელი:
ი/მ „რამაზი ბერიძიშვილი"

რამაზი ბერიძიშვილი

ინტერესთა კონფლიქტის
ოქმი

ქ. გურჯაანი 2018 წელი 04 სექტემბერი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით გურჯაანის მუიციპალიტეტის ტერიტორიიდან 5 (ხუთი) ინდივიდი მგლისა და 10 (ათი) ინდივიდი ტურის ამოღების მომსახურეობის შესყიდვის განხორციელებაში (მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს), ი/მ „რამაზი ბერიძიშვილთან" (ს/კ 13001055206) მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

არჩილ ხანდამაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი;

კონსტანტინე ბერიძიშვილი მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;